



სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის
2021 წლის
ანგარიში

2021 წ.

შესავალი

2021 წელს განხორციელებული საქმიანობებს ორი მთავრი მიზანი ჰქონდა - პირველი - *დღემდე მიღწეული ყველა წარმატება შენარჩუნებულიყო და განმტკიცებულიყო*. მეორე - *უნივერსიტეტში გაგრძელებულიყო თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის მუშაობა, კვლევის, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დამკვიდრება-მხარდაჭერა*.

2021 წელი გამოირჩეოდა იმიტაც, რომ უნივერსიტეტს სტუმრობდნენ უმაღლესი ტანამდებობის პირები, რაც ჩვენ მიმართ გამოხატული მხარდაჭერის დადასტურება.

უნივერსიტეტს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით ესტუმრა საქართველოს პრემიერ მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი კახა კუჭავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი, ახალციხისა და ასპინძის დეპუტატი ბატონი ანტონ ობოლაშვილი. ასევე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი.

უნივერსიტეტს პირადად სტუმრობდა საქართველოში ამერიკის ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი, ასევე საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან არსებული ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლობა.

იუბილესთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით კავკასიის უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ კახა შენგელიას საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა და უნივერსიტეტის მედალი გადაეცა.

2021 წელიც , სამწუხაროდ, პანდემიის რეჟიმში დასრულდა. შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების განხორციელების მიზნით მონიტორინგის ჯგუფი შეიქმნა.

მიმართულებება - სწავლა-სწავლება

კონკურენციის პირობებში, მუდმივად ცვალებად გარემოში ხარისხიანი განათლების მიღება პირველ რიგში უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სწავლა-სწავლების პროცესს ეფუძნება, სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია მასზე გამუდმებით ფიქრი.

სასწავლო პროცესს მთლიანობაში მრავალი მხარე აქვს, მაგრამ მისი ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული საგანმანათლებლო პროგრამებზე.

განსაკუთრებით უნდა ითქვას ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის დღეს მხოლოდ ჩვენთან ფუნქციონირებს. გვყავს ორი კურსი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 50-ე ბრძანებით პროგრამა დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. პროგრამის აკრედიტაცია იყო უმნიშვნელოვანესი და ურთულესი პროცესი და ერთიანმა ძალისხმევამ

საშუალება მოგვცა, წარმატებით დაგვესრულებინა იგი. ვეტერინარია ჩვენი უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ ძლიერ მიმართულებად უნდა იქცეს.

სამართლის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო

აგროტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია

2021 წლის ბოლომდე აკრედიტაციაზე გაიგზავნება 2 საბაკალავრო პროგრამა, ხოლო გაზაფხულის სემესტრის ბოლოს უკვე კლასტერული აკრედიტაციით შემოწმდება ჰუმანიტარული მიმართულების კიდევ რვა პროგრამა სხვადასხვა საფეხურზე, ასევე განათლების მიმართულების სამი პროგრამა. თითოეული მათგანის განახლება 2021 წელს დაიწყო და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

ცალკე უნდა გამოიყოს საგანმანათლებლო პროგრამები პროფესიული განათლების მიმართულებით. ახალი შესაძლებლობა მოგვცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მეოთხე კორპუსში პროფესიული პროგრამების ამოქმედების იდეის მხარდაჭერამ.

საბჭოთა პერიოდის შემდეგ 2020 წელს დაბრუნდა პროფესიული განათლება ჯავახეთში და დაბრუნების ისტორია დაიწყო საბაჟო საქმის პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ. 2021 წელს კიდევ რვა პროგრამამ გაიარა ავტორიზაცია ახალქალაქის მისამართზე.

საყურადღებოა, რომ შეიცვალა პროფესიულ პროგრამებზე მიღების წესები. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის 42/ნ ბრძანებით განისაზღვრა პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი. უმაღლესი პროფესიული პროგრამების გარდა, თითოეულმა დაწესებულებამ თვითონ მიიღო და შეარჩია აპლიკანტები. ისინი დარეგისტრირდნენ ერთიან ბაზაში, მაგრამ გამოცდები ჩავატარეთ ჩვენ. ეს იყო ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობა და საინტერესო პროცესი, რომელსაც თავი გავართვისთ წარმატებით. ამან მოგვცა საშუალება, რომ სპეციალურ კომისიას ჩაეტარებინა გასაუბრება. პროცესს ყურადღებით დავაკვირდით. აუცილებლად გავაანალიზებთ დაკვირვების შედეგებს და 2022 წლის მიღებაზე გავითვალისწინებთ. საბოლოოდ მიღების დროს ყურადღება გავამახვილეთ, დავაკვირდეთ და გავითვალისწინოთ თითოეული სტუდენტის მოტივაცია და შესაძლებლობა, რამდენად შესწევს უნარი, კონკრეტულ პროგრამაზე ისწავლოს. შესაბამისად, ჩვენ ბევრად უფრო მოტივირებულ სტუდენტებს შევარჩიეთ და გვქონდა საშუალება, რომ მიზნობრივი ჯგუფი უფრო მორგებული ყოფილიყო პროგრამების განსხვავებებსა და საჭიროებებზე.

კვლავ და კვლავ ღიაა საერთო საცხოვრებლის კარი ახალქალაქში, რაც გვამლევს საშუალებას, რომ პროფესიულის სტუდენტების გეოგრაფიული არეალი გავზარდოთ. გამოვაცხადეთ ვაკანსიები პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე და დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგების ჯგუფი, რომლებიც ამ პროგრამებზე არიან შერჩეულნი, არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე. მათ გაიარეს ტრენინგები და თითოეული მათგანი კონკურსის წესითაა შერჩეული.

ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი პარტნიორების მონაწილეობა, რომელთა უშუალო ჩართულობითა და დახმარებით მიმდინარეობდა ამ პროგრამების შემუშავება. ყველა ჩვენმა პარტნიორმა, დამსაქმებელმა ლომის წილი შეიტანა ამ პროგრამის შემუშავებაში, თანადგომაში. ჩვენ ხელშეკრულებები გავაფორმეთ როგორც სატყეო დეპარტამენტთან, ასევე ენერგოპროჯორჯიასთან, ფარავანჰესთან, მებოსტნეობის მიმართულებით ჩვენს დამსაქმებლებთან და ჩვენს ერთგულ პარტნიორებთან. დარწმუნებული ვართ, რომ დამსაქმებლების და უნივერსიტეტის ასეთი თანამშრომლობით, საბოლოო ჯამში, გამარჯვებული გამოვა პროფესიული განათლება ანუ – საქმე და ამ გამარჯვებით ისარგებლებენ სტუდენტები, რომლებიც პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხებიან. ასე რომ, განათლებისა და დასაქმების ერთიანი სივრცე და შანსი იქმნება უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში პროფესიული განათლების მიმართულებით.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა პროფესიულ მასწავლებელთათვის ტრენინგი შემდეგ თემებზე: სასწავლო პროცესის ორგანიზება, პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა – შეფასების არსი და მიზნები, შეფასების მიდგომები, შეფასების ტიპები, შეფასების მიმართულებები, შეფასების პროცესი, მოზარდთა და ზრდასრულთა სწავლების თავისებურებები, სტუდენტთა მოტივაცია სასწავლო პროცესში, სწავლების თანამედროვე სტრატეგიები. ტრენინგის მონაწილენი გახლდათ შემდეგი პროფესიული მოდულური პროგრამების პროფესიული მასწავლებლები: კომპიუტერული ქსელები და სისტემები, ბულალტრული აღრიცხვა, მებოსტნე, ელექტრიკოსი, საბაჟო საქმე, სატყეო საქმე.

პროგრამების განახლებას, ახალი პროგრამების შექმნას განვიხილავთ როგორც უწყვეტ პროცესს. შორს ვართ თვითკმაყოფილებისგან. **უნდა შემუშავდეს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. თითოეული ქვემოთჩამოთვლილი პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და საჭიროებებით არის დადასტურებული და რამდენიმე მათგანზე 2021 წელს მუშაობა დაწყებულია:**

- აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიასთან სტრონომიის ერთობლივი სადოქტორო პროგრამა;
- ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამა;
- ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა (ამერიკის საელჩოს ჩართულობით);
- განათლების მიმართულების 300- კრედიტის ინტეგრირებული პროგრამები (სტემის მიმართულებები და სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მომზადების პროგრამა);
- პროფესიული პროგრამები: ვეტერინარიის, რძის დამუშავება, ხორცის დამუშავება, მანქანის სავალი ნაწილი, მანქანის ძრავის შეკეთება, ოპერატორი, ტელეწამყვანი; ერთობლივი პროგრამა სარკინიგზო მიმართულებით.
- მოზადებისა და გადამზადების პროგრამები, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობით განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს.

არსებული პროგრამების განახლება-განვითარებას პირდაპირ უკავშირდება პროგრამებში უცხოელი და/ან უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების ცართვის ხელშეწყობა.

სწავლა-სწავლის პროცესის განუყოფელი ნაწილია საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, კადრები უნივერსიტეტის მთავარი გამოწვევაა, რომელსაც რესურსებზე საუბრისას შევხებით.

პოსტკოვიდური სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ამოქმედებისთვის, სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობისთვის წინა წლებში გაწეული საქმიანობის მიუხედავად გამოწვევად რჩება **სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდების რეალური დანერგვა** არა პროგრამათა თუ სასწავლო კურსების უმრავლესობაში, არამედ ყველა საფეხურზე და ყველა პროგრამაში; ამ მიმართულებით განსაკუთრებით სასარგებლოდ გვეჩვენება ერასმუსის მიმდინარე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს დისტანციული სასწავლო კურსების მომზადებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს გაიზარდოს სასწავლო პროცესში სწავლების ელექტრონული მეთოდის გამოყენების წილი, დავნერგოთ დისტანციური სწავლება;

ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის აუცილებელია **ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება**. ეს უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, მოიზიდოს საერთაშორისო სტუდენტები და გააფართოოს ერაზმუსის პროგრამების ფარგლებში სტუდენტთა და პერსონალის მობილობა. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლის განმავლობაში სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდა შესაძლებლობა, გაეუმჯობესებინა ინგლისური ენის კომპეტენცია უნივერსიტეტის დაფინანსებით, ინგლისური ენის ფლობის საკითხი რჩება სერიოზულ გამოწვევად.

სტრატეგიული მიმართულება - რესურსები

ადამიანური რესურსი

სასწავლო პროცესის სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის უპირველესად გადამწყვეტია ადამიანური რესურსი. დასახული სტრატეგიული მიმართულების მთავარი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების ხელშეწყობაა. ამიტომ განვსაზღვრეთ სტრატეგიული განვითარების გეგმით უნივერსიტეტის ამოცანებში კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება. მნიშვნელოვანია შეიქმნას სივრცე, სადაც გამოცდილი პროფესურა შეძლებს დამწყებ პედაგოგებთან თანამშრომლობით მათთვის გამოცდილების გაზიარებას. ამისთვის მექანიზმის შექმნის დონეზე საანგარიშო პერიოდში გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი:

1. პირველ ეტაპზე მივიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აკადემიურ პერსონალს სავალდებულო საათობრივი დატვირთვით გათვალისწინებული საათების ზევით აღარ ჰქონოდა დამატებითი საათების აღების შესაძლებლობა. მიზანი ე.წ. „გამოთავისუფლებულ საათებზე“ ახალგაზრდების მოწვევა და პროფესურასთან ერთად მათი სასწავლო პროცესში ჩართვა გახლდათ.
2. მოვიწვიეთ უცხოელი პროფესურა (ამ ეტაპზე ეს მოხერხდა სადოქტორო პროგრამების ფარგლებში).
3. თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისა და გადამზადების ხელშესაწყობად დაიხვეწა რეგულაციები თანამშრომელთა შეფასების სისტემისთვის.

4. პანდემიამდეც და განსაკუთრებით პანდემიის შემდგომ არ შეწყვეტილა პერსონალთან ტრენინგები სწავლების მეთოდებზე, განსაკუთრებით დისტანციურ რეჟიმთან გადასვლასთან დაკავშირებით არ დარჩენილა არცერთი მასწავლებელი, რომელიც საჭიროებდა კონსულტაციას და არ მიეწოდა, მომზადდა ინსტრუქციები, ვიდეორგოლები, საჭიროების შემთხვევაში ინდივიდალურ რეჟიმში მიმდინარეობდა ურთიერთობები, შედეგად მივიღეთ ექსტრემალურ ვითარებაში არ შეწყვეტილი, პირიქით, წარმატებულად გაგრძელებული სასწავლო პროცესი, რაც ასევე საერთო ძალისხმევის შედეგია.
5. გავზარდეთ სახელფასო ანაზღაურება 10-10 %-ით, საბოლოოდ 20%-ით;
6. განვუსაზღვრეთ დანამატი პროგრამის ხელმძღვანელებსა და თანახელმძღვანელებს;
7. 2022 სასწავლო წლისთვის შევამცირეთ აკადემიური პერსონალის სავალდებულო საათობრივი დატვირთვა, რაც რეალურად ერთი საათის ღირებულების გაზრდას ნიშნავს.
8. უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესია პროგრამის „ერაზმუს+“ ფარგლებში მიღწეული პოზიტიური შედეგები, რომელიც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან ერთად პერსონალის მომზადება-გადამზადებას გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებით.

კარგად გვესმის, რომ განახლებას საჭიროებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ეს საკითხი უნივერსიტეტის სტრუქტურაში დაგეგმილი ცვლილების შემდგომ კონკურსების საფუძველზე კადრების შერჩევით გადაწყდება. პროცესი დაგეგმილი გვქონდა 2021 წელს სტრუქტურის რეორგანიზება და კონკურსების გამოცხადება ვერ შევძელით. შეიძლება ვისაუბროთ ბევრ სუბიექტურ თუ ობიექტურ ფაქტორზე, თუმცა, აღსანიშნავია ერთი გარემოება. სტრუქტურული ცვლილებები, საკონკურსო პერიოდი თავისთავად სერიოზული, რთული და გარკვეულად დამაბული პროცესია. პანდემიამ დაამძიმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი. ამ ვითარებაში უნივერსიტეტში კონკურსების გამოცხადება პირველ რიგში კონკურსის სამართლიანად, ობიექტურად, გამჭვირვალედ ჩატარების პროცესს დააზიანებდა. მომდევნო წელი ორგანიზაციული სტრუქტურის განახლებით დაიწყება, რასაც თანმიმდევრულად მოჰყვება ნათლად ჩამოყალიბებული და ფართოდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმებით ისეთი კადრების შერჩევა/ შენარჩუნება, რომლებიც მაღალ დონეზე შეძლებენ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველყოფას;

მიუხედავად იმისა, რომ განახლდა პერსონალის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების წესი, რომელშიც პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაზუსტდა, დახვეწა მათი შერჩევის მექანიზმი, მიმდინარე საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები, გამოწვევად რჩება წახალისების მექანიზმების შექმნა.

ფინანსური და მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის განვითარების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის გამართულობას.

გასული წლების განმავლობაში ყალიბდებოდა უნივერსიტეტის დაფინანსების ახალი მოდელი, რომლის შემუშავებაში უნივერსიტეტებიც მონაწილეობდნენ. საბაზისო დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებულია ახალ მოდელში, ვფიქრობთ, უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს, ახალ შესაძლებლობებს გააჩენს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტს რჩება გამოწვევები

- უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირება, რაც ახალი წყაროების მოძიებასთან ერთად საკუთარი რესურსის ეფექტიანად გამოყენებას უნდა დაეფუძნოს, განსაკუთრებით დაფინანსების ახალი მოდელის პირობებში.
- კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს დონორებთან და ფონდებთან თანამშრომლობა ფინანსური რესურსის მოძიების მიზნით;
- მნიშვნელოვანია ნაბიჯები კომერციალიზაციის მიმართულებით, რაც კვლევებსა და ინოვაციებს უნდა დავუკავშიროთ

მატერიალური რესურსი

ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია: „მატერიალური რესურსის განვითარება, რაც გამჭოლი საჭიროებაა ყველა სტრატეგიული მიზნის, ამოცანისა თუ ქვეამოცანის შესასრულებლად, რასაც ეფუძნება ნებისმიერი შეფასება და ყოველთვის ძირითადი ინდიკატორია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის, ისახავს მიზნად ტექნოლოგიების პროგრესის ადეკვატურად მატერიალური რესურსის შექმნასა და დახვეწას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ჩართულობასა და უახლესი მეთოდებით სწავლებას უზრუნველყოფს“.

საანგარიშო წლის განმავლობაში მაქსიმალურად გავამახვილეთ ყურადღება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე:

1. გავაგრძელებთ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულებას;
2. გავაგრძელებთ საბიბლიოთეკო რესურსის გამრავალფეროვნება და გაციფრულებას;
3. გავაგრძელებთ კორპუსის რეაბილიტაციას;
4. 50 ათასი ლარის სათბურის გასაშენებლად შეტანილია პროექტი დონორთან ;
5. ვეტერინარიის მიმართულებით, კლინიკის აღსაჭურვად დონორთან გაგზავნილია 100 ათას ლარზე მეტი ღირებულების პროექტი;
6. უნისეფის დაფინანსებით 70 ათასი ლარის მოცულობის პროექტის ფარგლებში გაიხსნა და კეთილმოეწყო ბავშვთა უფლებების დაცვის ორი ცენტრი (ახალციხე, ახალქალაქი).
7. რუსთაველის ფონდის დაფინანსებით გაიხსნა და კეთილმოეწყო horizon 2020-ის ოფისი;
8. ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით უნივერსიტეტს გადმოეცა ექვსი ჭკვიანი დაფა.
9. შეიცვალა გათბობის სისტემა პირველ კორპუსში და მოეწყო სახანძრო უსაფრთხოების ახალი სისტემა.
10. უნივერსიტეტის ახალციხის მეორე კორპუსი ადაპტირდა სსსმ და შშმ სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებით.

11. ნახევარი მილიონის დაფინანსებაზე პროფესიული პროგრამებისთვის საჭირო აღჭურვილობის შესაძენად მივიღეთ დადებითი პასუხი.
12. გრძელდებოდა და 2021 წელს დაიწყო პროგრამის „ერაზმუს+“ პროგრამები, რომელთა ფარგლებშიც შეძენილ იქნა უნივერსიტეტისთვის საჭირო ტექნიკა .

კვლევა

კვლევითი საქმიანობა უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი და ამავდროულად ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ 2014 წლის მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება.

1. კვლევითი საქმიანობის საფუძველს აკადემიური კეთილსინდისიერება წარმოადგენს, ამიტომ აკადემიური კეთილსინდისიერიების დამკვიდრების და პლაგიატის პრევენციის კუთხით უმნიშვნელოვანესი იყო ერაზმუს+-ის პროექტი, რომლის ფარგლებში დაიხვეწა უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების წესი, დაინერგა ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამა, პროექტის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტმა საკუთარი სახსრებით უზრუნველყო პროგრამის ფუნქციონირება.
2. კვლევითი საქმიანობის მდგრადობის გათვალისწინებით შემუშავდა პერსონალის საქმიანობის შეფასება.
3. სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ჩატარდა ტრენინგები სტუდენტებისა და პერსონალისთვის.
4. ჩატარდა ტრენინგები მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებისთვის სტატიების მომზადებისა და გამოქვეყნების სტანდარტებზე. ეს თემები შევიდა სილაბუსებში როგორც სამაგისტრო, ისე სადოქტორო საფეხურზე.
5. პირველი კურსდამთავრებული გამოუშვა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ.
6. გააქტიურდა ელექტრონული ჟურნალების საერთაშორისო ბაზებში განთავსების პროცესი.

კვლევითი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი იყო ორი მოვლენა, გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტ ჟანა ხაჩატურიანის სადისერტაციო ნაშრომის: „სახელთა ბრუნება ქართულსა და სომხურ ენებში“ საჯარო განხილვა, ასევე დოქტორანტ ნინო მეგენეიშვილის სადისერტაციო ნაშრომის: „ბესარიონ ორბელიშვილის „გრდემლის“ კოდიკოლოგიურ- ტექსტოლოგიური ანალიზი“ საჯარო განხილვა.

პირველი კურსდამთავრებული გამოუშვა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამამ. დოქტორანტმა ქეთევან ფიფიამ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დარგობრივი კოლეგიის წინაშე დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი „ქართული საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა“.

განვითარების კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების სტუდენტური კონფერენციისთვის საერთაშორისო მასშტაბის მინიჭებას. გაიმართა სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი

- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია.
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა და პროფესორთა სამეცნიერო კონფერენცია მიმდინილი პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ხსოვნისადმი.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი "კომპეტენციები დასაქმებისთვის" პროექტის ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობისთვის დაჯილდოვდა მადლობის სიგელით.

ამავე ფაკულტეტმა შეძლო წლის მოვლენა ჩატარებინა - სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის ვეტერინარიის ფაკულტეტის ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმი სავეტერინარო მედიცინაში. სიმპოზიუმის შემდგომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თურქეთის რესპუბლიკის კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე მხარეებმა ვეტერინარიის მიმართულებით ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობებზე ისაუბრეს, რაც გულისხმობს ერთობლივი ლექციების ჩატარებას და სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზებას.

ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერთობები

განათლების ინტერნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირობო პრიორიტეტია, ინტერნაციონალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას, საერთაშორისო მობილობას როგორც სტუდენტთა, მეორე მხრივ აუცილებელია უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, უცხოელი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა მოზიდვა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება და გაფართოება პარტნიორებთან საქართველოში. უნივერსიტეტს კარგად აქვს გაცნობიერებული უნივერსიტეტის მესამე მისია, სოციალური პასუხისმგებლობა. ამ მიმართულებით გასული წლის განმავლობაში:

აქტიურად მიმდინარეობდა სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინფორმირება საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის მიზნით, ფაქტობრივად, ინდივიდუალური კონსულტაციების ფორმატში. გაფართოვდა სკოლებთან თანამშრომლობა ;

- უნივერსიტეტი მონაწილეობს USAID-ის მიერ დაფინანსებულ პროექტში, რომელიც საბაზო განათლების ხელშეწყობას ითვალისწინებს მიზნად, პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტის ტრენერთა ჯგუფმა ითანამშრომლა სამცხე-ჯავახეთის ყველა სკოლასთან.

- პირადად გავმართეთ შეხვედრები ჩვენს პარტნიორებთან: ადიგენის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებთან, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებთან, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებთან.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფოს უნივერსიტეტსა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

კარგად გვესმის, რომ ინტერნაციონალიზაცია და პარტნიორული ურთიერთობები მჭიდრო კავშირშია უნივერსიტეტის საქმიანობასთან. ამიტომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი, როგორც გამჭოლი საჭიროება, ყველა ზემოთ გათვალისწინებული საქმიანობის თანამდევია უნდა გახდეს.

- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს Erasmus+ ფარგლებში დაემატა კიდევ ერთი საერთაშორისო პარტნიორი საერთაშორისო მობილობის ფარგლებში. გაფორმდა ხელშეკრულება ფინეთის, ტამპარეს უნივერსიტეტთან.
- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, ხელი მოეწერა მესამე წლის საგრანტო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროგრამის სხვა 7 პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად გააგრძელებს საქართველოს საჯარო სკოლებში მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, როგორც ევროკავშირის ERASMUS+ -ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD) მონაწილემ პროექტის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან გამართა შეხვედრა.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონალურმა ოფიცერმა, დიმიტრი მოროზოვმა- გამართა შეხვედრა თემაზე: ვეტერინარული და პარავეტერინარული განათლების განხრით „საქართველოში უმაღლესი და პროფესიული ვეტერინარული განათლების ევროკავშირში არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა“

გააქტიურდა და სტუდენტების ინტერესებს იყო მორგებული კულტურულ საგანმანათლებლო შეხვედრები. როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის სამცხე-ჯავახეთის

- სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში „დასაქმების ფორუმი“ გაიმართა. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორიმა ნინო ველთაურმა,

CENN ევროკავშირის მხარდაჭერითა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით

იყო სერიოზული წარმატებებიც: პირველი ადგილი საარბიტრაჟო შესაგებლისთვის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა. ჩვენმა კურსდამთავრებულმა, მკლავჭიდელმა გაგა გელაშვილმა საერთაშორისო ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა „Justitia“ III ადგილი მოიპოვა მედიატორის როლისთვის.

სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დისტანციურ რეჟიმში :

- შეხვედროდნენ მწერალ შორენა ხუბუას,
- ჩატარდა ვებინარი თემაზე პროფესიული ეთიკის გავლენა ადვოკატის საქმიანობაზე.
- კრიტიკული აზროვნება, დეზინფორმაციის იდენტიფიცირების სხვადასხვა ხერხი და ინფორმაციის ვალიდაციის მეთოდები - ამ საკითხებზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ტრენინგი, მედიაწიგნიერების კვირეულის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის მედიაწიგნიერების ტრენინგმა, ანნა გვეტაძემ ჩაატარა.
- სტუდენტებმა საინფორმაციო ტიპის შეხვედრაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ისეთ თემაზე შეეხებოდა როგორცაა: გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები საქართველოში - არსებული მდგომარეობა, გამოწვევები, დაცვისა და დახმარების ღონისძიებები.
- დედაენის კვირეულის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, პროფესორმა ნესტან სულავამ გამართა საჯარო ლექცია თემაზე „მამული, ენა, სარწმუნოება“, სადაც ვრცლად ისაუბრა ქართული ენის მნიშვნელობაზე, სიწმინდეზე.
- წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მწერალმა დათო ტურაშვილმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის გამართა შეხვედრა.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "კარიერული ზრდა: CV, სამოტივაციო წერილი და გასაუბრების ტექნიკები". სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები კომუნიკაციების ომბუდსმენის ინიციატივით ორგანიზებულ საინფორმაციო ხასიათის კამპანიას ესწრებიან.
- აგრონომიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები გაეცნენ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების და აგროდრონების როლს სოფლის მეურნეობის განვითარებაში
- საჯარო ლექცია თემაზე "სამეწარმეო საქმიანობა და ახალგაზრდების ჩართულობა", რომელსაც როინ თათეშვილი უძღვებოდა. იგი გახლავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ეკონომიკის დოქტორი და პროფესორი.
- სჯსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ღონისძიება "ვაჟა-ფშაველას 160 წლის იუბილე"

- საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ ქეთი ჭუმბაძემ, მონაწილეებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დინამიკაზე და არსებულ გამოწვევებზე მიაწოდა ინფორმაცია. ასევე, მომხსენებელმა ვრცლად ისაუბრა საქართველოს საგარეო და სამშვიდობო პოლიტიკასა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მნიშვნელობაზე.
- მულტიმედია კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის დანერგვის შესახებ სამუშაო შეხვედრა შედგა. ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე ამერიკელი კოლეგების საპასუხო ვიზიტი ონლიან რეჟიმში წარიმართა.
- ონლაინ ტრენინგი სექსუალური შევიწროების პრევენციის შესახებ. ტრენინგს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები ესწრებიან, მათ შორის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.
- ტრანსილვანიის ბრასოვის უნივერსიტეტის მიერ პროექტის წევრ უნივერსიტეტებთან ერაზმუს +-ის ფარგლებში ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, რომელიც სტუდენტთა ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისს ეხებოდა, გაიმართა ონლაინ ჩართვა, შეხვედრას უძღვებოდა პროექტის კოორდინატორი, ბრასოვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დანიელა პოპა. ისაუბრეს ბრასოვის უნივერსიტეტის სტუდენტების ემოციური სიჯანსაღეს და ფსიქიკური ჯანმრთელობას პანდემიის პერიოდში, ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ და ასევე, მათ მიერ საგანმანათლებლო აქტივობების ხარისხის ასამაღლებლად განხორციელებული ინტერვენციების შესახებ. ასევე გაიმართა შეხვედრა ტრანსილვანიის ბრასოვის უნივერსიტეტსა და პროექტის წევრ უნივერსიტეტებს შორის. ტრანსილვანიის ბრასოვის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის ლექტორმა ოანა ბოტამ მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია კონსულტაციისა და კარიერული დაგეგმვის ცენტრის საქმიანობა, ისაუბრა კარიერული, ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო კონსულტირების, სხვადასხვა სერვისების და აქტივობების შესახებ. ასევე, მონაწილეები გაეცნენ ფსიქო-პედაგოგიური ინტერვენციის პროგრამას, რომელიც თემის და საზოგადოების საჭიროებებზეა აგებული. ასოცირებულმა პროფესორმა მიხაელა ვოინემ მონაწილეებს გაუზიარა გამოცდილება სხვადასხვა ფორმალური და არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომლის მიზანია უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება საზოგადოებაში, თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროს სხვადასხვა საფეხურის წარმომადგენლებთან, თემთან, სხვადასხვა თაობის ადამიანებს შორის კომუნიკაცია და ზოგადად, სოციალური გარემოს გაუმჯობესება. შეხვედრის ბოლოს მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ინფორმაცია ტრანსილვანიის ბრასოვის უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული სასწავლო და კვლევითი პროგრამების შესახებ. მუსიკათერაპიის სამაგისტრო პროგრამის ლექტორმა ელენა-ალექსანდრინა ბაბიმ ისაუბრა პროგრამის და ზოგადად, მუსიკათერაპიის მნიშვნელობაზე პიროვნების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის და მთლიანად, ცხოვრების გასაუმჯობესებლად. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. შეხვედრას

უძღვებოდა პროექტის კოორდინატორი, ბრასოვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დანიელა პოპა.

- უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა დარგობრივ ვორქშოფში მიიღეს მონაწილეობა, რომელსაც ფრანგი ტრენერი გი შარბონიე უძღვებოდა. მიმდინარეობდა ხელოვნური განაყოფიერების ტრენინგი მსხვილფეხა მესაქონლეობაში. ტრენინგის პრაქტიკული ნაწილი სოფელ რუსთავში ვაჟა ძირკვამის ფერმში ჩატარდა, ხოლო თეორიული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ ორგანიზებულ სტუდენტთა დღისადმი მიძღვნილ კვირეულს შეუერთდა. მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რაც დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილის ჩატარების დაგეგმვას გულისხმობდა. ჭვინთის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგ ელზა რაისიანთან ერთად ფონდის სტიპენდიანტმა სტუდენტებმა შეიმუშავეს გაკვეთილის გეგმა.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 27 წარჩინებული სტუდენტი დააჯილდოვა. ევროკავშირი ახალგაზრდობისთვის (EU4Youth) პროექტის „სოციალური მეწარმეობა საქართველოსა და სომხეთში“ (SEAG) ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატის ტრენინგი თემაზე: „ახალი შესაძლებლობები სოციალურ მეწარმეობასა და მწვანე ეკონომიკაში“.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამამათავრებელი კურსის სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ახალი შესაძლებლობები სოციალურ მეწარმეობაში და მწვანე ეკონომიკაში“.
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს WSG საინფორმაციო შეხვედრა საგანმანათლებლო მიზნებისთვის პარტნიორთათვის Erasmus+ (CBHE) ინსტიტუციური განვითარების პროექტის E-PSY “ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრების გახსნა სტუდენტებისთვის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში” ფარგლებში.

სოციალური პასუხისმგებლობისა და „მესამე მისიის“ ფარგლებში: პანდემიური ვითარების მიუხედავად არ შეწყვეტილა თანამშრომლობა უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის ფარგლებში არასამთავრობო, სამთავრობო და კერძო სექტორთან სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი პროგრამების მიმართულებით, ასევე ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობა-პოპულარიზაციის ღონისძიებების კუთხით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტურ კამპანიას #ავიცრათერთმანეთისთვის შეუერთდა. ღონისძიება ახალციხის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო და მასში მონაწილეობა სტუდენტურმა თვითმმართველობამ. ოთხივე ფაკულტეტის სტუდენტებმა, აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა მიიღო.

რეგიონული უნივერსიტეტების მუდმივმოქმედი კონფერენცია დაფუძნდა და აღნიშნულთან დაკავშირებით მემორანდუმი გაფორმდა.

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში "ილიაობის" დღესასწაული გაიმართა.წელს, მასპინძელი რეგიონი სამცხე-ჯავახეთის მხარე გახლდათ. ღონისძიება მოამზადა სჯსუ-მ

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის საჯარო სკოლის უფროსკლასელებისთვის გაიმართა შეხვედრა თემაზე "ძალადობის გავლენა პიროვნების განვითარებაზე".

პრეზენტაციას უძღვებოდა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ფსიქოლოგი გულიკო ბექაური.

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ორგანიზებით, გაიმართა ლიტერატურული საღამო: გალაკტიონ ტაბიძის "ერთი ლექსის" ანალიზი. ღონისძიება დიდებული პოეტის დაბადებიდან 130 წლისთავს მიეძღვნა.

სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ინიციატივით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სისხლის უანგარო დონორის აქცია. დონაციის პროცესს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე, სასწავლებლის თანამშრომლები, სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და სხვა მსურველები შეუერთდნენ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ვორქშოფი-სემინარი „ანთიმოზი ივერიელი - ევროპული სააზროვნო სივრცის ნაწილი“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრები ეწვივნენ უნივერსიტეტს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას პრობლემათა ფართო სპექტრი განიხილეს.

ჩვენი პედაგოგებია მონაწილეობით ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება სკოლის მოსწავლეებისთვის: ბორჯომის მეექვსე საჯარო სკოლის, დაბა წალვერის, სოფელ ბალანთის საჯარო სკოლის უფროსკლასელთათვის უნივერსიტეტის მოწვეულმა პედაგოგმა ჯულიეტა ტაბეშაძემ ჩაატარა ლექცია თემაზე "კიბერპიგიენა",